აკადემიური საბჭოს 2020
წლის 14 აგვისტოს №01-05-04/133

დადგენილების დანართი 2

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის
სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი

1. მიზანი

1. წინამდებარე დანართის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს მაგისტრატურის სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობაში, დროის ეფექტიანად დაგეგმვასა და რაციონალურად გამოყენებაში, რესურსების, შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში.

2. წესი აწესრიგებს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების პროცედურებს საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

2. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი

1. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარმოადგენს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელ კომპონენტს. იგი გულისხმობს კვლევით სამუშაოებს, რომელიც მიმართულია მაგისტრატურის სტუდენტის უნარის განვითარებაზე დამოუკიდებელ თეორიულ და პრაქტიკულ მსჯელობასა და დასკვნების გაკეთებაში.
2. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი სრულდება სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის/აქტივობის (შემდგომში – სამაგისტრო ნაშრომი) სახით.
3. სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს.
4. სამაგისტრო ნაშრომი, მოცულობის შესაბამისად, შეიძლება შესრულდეს ერთი ან ორი სემესტრის განმავლობაში.

3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტი, შესაბამის პერიოდში, დადგენილი წესით წარმოადგინა სამაგისტრო ნაშრომი.
2. დასრულებული სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის, საჯარო დაცვისა და საბოლოო შეფასების პროცედურები დადგენილია „დებულებით მაგისტრატურის შესახებ“.
3. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) საჯარო დაცვაზე .
4. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვას აფასებს 5-7 წევრისაგან შემდგარი საგამოცდო კომისია 100 ქულიანი შეფასების სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:
   4.1. საკვლევი პრობლემის აღწერა, აქტუალურობა – შეფასება 5 ქულამდე;
   4.2. საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის ანალიზი – შეფასება 4 ქულამდე;
   4.3. კვლევის მეთოდების გამოყენება – შეფასება 5 ქულამდე;
   4.4. ჩატარებული კვლევის შედეგების განსჯა – შეფასება 4 ქულამდე;
   4.5. ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასკვნის გაკეთება – შეფასება 4 ქულამდე;
   4.6. ნაშრომის გაფორმების ხარისხი და მისი წარდგენის უნარი – შეფასება 3 ქულამდე.
5. შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით S = 4 x M, სადაც M არის ექვსივე კომპონენტის (იხ. დანართი 1) შეფასების ჯამური ქულა.

მუხლი 4. შეფასების პროცედურა

1. მაგისტრანტის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ფასდება დაცვის დამთავრებისთანავე, საგამოცდო კომისიის თითოეული წევრის მიერ, ფარული კენჭისყრით, დადგენილი ფორმის შეფასების ბიულეტენის გამოყენებით (დანართი 2);
2. შეფასების ბიულეტენი წარმოადგენს A4 ფორმატის (297×210 მმ), 80 გ/მ^2 სიმკვრივის ქაღალდის ფურცელს, რომლის პირველი გვერდი მოიცავს ტექსტს: შეფასების ბიულეტენი, ფაკულტეტის დასახელება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მაგისტრანტის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, თარიღი, აგრეთვე, ამ გვერდზე მოცემულია შეფასების სისტემა და შესაბამისი ქულები; შეფასების ბიულეტენი მეორე გვერდზე განთავსებულია შეფასების კრიტერიუმები, მათი შეფასების შესაძლო მაქსიმალური ქულები და მაგისტრანტის მიერ მიღებული ქულები. აგრეთვე სკალირებული ქულის საანგარიშო ფორმულა.
3. შეფასების პროცედურის ჩატარების მიზნით, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის წინადადებით საგამოცდო კომისია თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს

შეფასებების დამთვლელ კომისიას 3 წევრის შემადგენლობით, რომელიც პასუხისმგებელია პროცედურის კონფიდენციალურობაზე; დასაშვებია, რომ შეფასებების დამთვლელი ერთი და იგივე კომისია მუშაობდეს საგამოცდო კომისიის ერთი სხდომის ყველა დაცვაზე.

4. შეფასებების დამთვლელი კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი დოკუმენტების შედგენასა და სხვა ორგანიზაციულ საკითხებზე.

5. პროცედურის დაწყების წინ საგამოცდო კომისიის მდივანი საგამოცდო კომისიის წევრებს აცნობს აღნიშნულ პროცედურასა და შეფასების ბიულეტენის შევსების წესს.

6. საგამოცდო კომისიის წევრებმა პროცედურაში მონაწილეობა უნდა მიიღონ პერსონალურად. დაუშვებელია შეფასების უფლების გადაცემა სხვა პირზე.

7. მაგისტრანტის საჯარო დაცვის შეფასება განისაზღვრება საგამოცდო კომისიის თითოეული წევრის მიერ მიღებული სკალირებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

8. შეფასებების დამთვლელი კომისია პროცედურის შედეგებს აფორმებს ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ შეფასებების დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე და წევრები. შეფასების დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე საგამოცდო კომისიას უცხადებს პროცედურის შედეგებს და შესაბამისი ოქმი მტკიცდება ღია კენჭისყრით, საგამოცდო კომისიის დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში. ოქმი და ბიულეტენები ინახება დეკანატში, მაგისტრანტის პირად საქმეში.

9. თუ შეფასებების დამთვლელი კომისიის ოქმი ვერ დამტკიცდა, შეფასების პროცედურა უნდა განმეორდეს ან გადაიდოს შემდეგი სამუშაო დღისათვის. შეფასების დამთვლელი კომისია ამზადებს ახალ ბიულეტენებს და საგამოცდო კომისია ხელახლა აწყობს ფარულ პროცედურას.

10. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება.

ა) დადებით შეფასებებია:

ა.ა) **(A) ფრიადი –** 91 და მეტი ქულა;

ა.ბ) **(B) ძალიან კარგი** – 81-90 ქულა;

ა.გ) **(C) კარგი** – 71-80 ქულა;

ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – 61-70 ქულა;

ა.ე) **(E) საკმარისი** – 51-60 ქულა;

ბ) უარყოფით შეფასებებია:

ბ.ა) **(FX) ვერ ჩააბარა** – 41-50 ქულა. ამ შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

ბ.ბ) **(F) ჩაიჭრა** – 40 და ნაკლები ქულა. ამ შეფასების მიღების შემთხვევაში, აგრეთვე განმეორებით „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

11. საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დგება საგამოცდო კომისიის ოქმი (დანართი 4).

დანართი 1

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

1. საკვლევი პრობლემის აღწერა, აქტუალურობა - მაქსიმუმ 5 ქულა

5 ქულა	საკვლევი პრობლემა და აქტუალურობა მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შეფასებული
4 ქულა	საკვლევი პრობლემა და აქტუალურობა არის ჩამოყალიბებული, მაგრამ არ არის გაანალიზებული
3 ქულა	საკვლევი პრობლემა და აქტუალობა არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული
2 ქულა	საკვლევი პრობლემა და აქტუალურობა არაკვალიფიციურად არის ჩამოყალიბებული
1 ქულა	საკვლევი პრობლემა და აქტუალურობა არ შეესაბამება ნაშრომის შინაარსს
0 ქულა	საკვლევი პრობლემა და აქტუალურობა საერთოდ არ არის წარმოჩენილი

2. საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის ანალიზი - მაქსიმუმ 4 ქულა

4 ქულა	ლიტერატურა სწორად არის შერჩეული და მისი ანალიზი სრულად შეესაბამება კვლევის მიზნებს
3 ქულა	ლიტერატურა საკმაოდ სწორადაა შერჩეული და მისი ანალიზი სავსებით შეესაბამება კვლევის მიზნებს
2 ქულა	ლიტერატურა ხარვეზებითაა შერჩეული და მისი ანალიზი ნაწილობრივ შეესაბამება კვლევის მიზნებს
1 ქულა	ლიტერატურა არის შემთხვევითი, არ შეესაბამება კვლევის მიზნებს
0 ქულა	ლიტერატურა საერთოდ არაა წარმოდგენილი

3. კვლევის მეთოდების გამოყენება - მაქსიმუმ 5 ქულა

5 ქულა	კვლევის მეთოდები ეფექტიანად, მიზნობრივად და კომპლექსურად გამოიყენება
4 ქულა	კვლევის ცალკეული მეთოდები საკმაოდ ეფექტიანად და მიზნობრივად გამოიყენება
3 ქულა	გამოყენებული კვლევის მეთოდები ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს სათანადო დონეზე კონკრეტული შედეგების მიღებას

2 ქულა	გამოყენებული კვლევის მეთოდები ვერ უზრუნველყოფს სათანადო დონეზე კონკრეტული შედეგების მიღებას
1 ქულა	კვლევის მეთოდები გამოყენებულია არაკვალიფიციურად
0 ქულა	კვლევის მეთოდები არ არის გამოყენებული

4. კვლევის შედეგების განსჯა - მაქსიმუმ 4 ქულა

4 ქულა	კვლევის შედეგების განსჯა კვალიფიციურად არის წარმოდგენილი
3 ქულა	კვლევის შედეგების განსჯა საკმაოდ კვალიფიციურად არის წარმოდგენილი
2 ქულა	კვლევის შედეგების განსჯა ამოითხოვს სრულყოფას
1 ქულა	კვლევის შედეგების განსჯა არაკვალიფიციურად არის წარმოდგენილი
0 ქულა	კვლევის შედეგების განსჯა არ არის წარმოდგენილი

5. კვლევის საფუძველზე დასკვნის გაკეთება - მაქსიმუმ 4 ქულა

4 ქულა	კვლევის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული.
3 ქულა	კვლევის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები მისაღებია, თუმც მოიცავს უმნიშვნელო ხარვეზებს
2 ქულა	კვლევის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხარვეზებით არის წარმოდგენილი
1 ქულა	დასკვნები კვლევის არაადეკვატურია
0 ქულა	დასკვნები არ არის წარმოდგენილი

6. ნაშრომის წარდგენის უნარი და გაფორმების ხარისხი - მაქსიმუმ 3 ქულა

3 ქულა	მსჯელობა გამართული და დამაჯერებელია. თემის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად, საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით. ნაშრომი გაფორმებულია ყველა მოთხოვნის დაცვით
2 ქულა	მსჯელობა კარგ დონეზეა. გამოყენებულია პროფესიული ტერმინოლოგია. სტუდენტი ასახავს წარმოდგენილი თემის შინაარსს, მაგრამ მოკლებულია დამაჯერებლობას. ნაშრომის გაფორმებისას დაშვებულია ცალკეული ხარვეზები
1 ქულა	მსჯელობა არადამაჯერებელი და ნაკლოვანია, ხშირად ფრაგმენტული, ვერ ასახავს წარმოდგენილი თემის შინაარსს, არ არის გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია. ნაშრომის გაფორმებისას დაშვებულია საკმაოდ დიდი რაოდენობის ხარვეზები

0 ქულა	სტუდენტმა ვერ შეძლო თემის დაცვა, მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის/სტუდენტმა არ/ვერ გააკეთა პრეზენტაცია. ნაშრომის გაფორმების ხარისხი ძალიან დაბალია

დანართი 2

შეფასების ბიულეტენის პირველი გვერდის ფორმა

შეფასების ბიულეტენი

_____ ფაკულტეტი

_____ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

მაგისტრანტი: _____ _____

სახელი გვარი პირადი ნომერი

_____

დაცვის თარიღი

ფრიადი	100	99	98	97	96	95	94	93	92	91	**დადებითი შეფასება**
ძალიან კარგი	90	89	88	87	86	85	84	83	82	81	
კარგი	80	79	78	77	76	75	74	73	72	71	
დამაკმაყოფილებელი	70	69	68	67	66	65	64	63	62	61	
საკმარისი	60	59	58	57	56	55	54	53	52	51	
ვერ ჩააბარა	50	49	48	47	46	45	44	43	42	41	**უარყოფითი შეფასება**
ჩაიჭრა	40	39	38	37	36	35	34	33	32	31	
	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	
	20	19	18	17	16	15	14	13	12	11	
	10	9	8	7	6	5	4	3	2	1	

გთხოვთ, შემოხაზოთ შეფასების სკალირებული ქულა. იგი გამოითვლება ფორმულით: S = 4 x M, სადაც M არის ჯამური ქულა (იხ. მეორე გვერდი).

შეფასების ბიულეტენის მეორე გვერდის ფორმა

№	**სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები**	**მაქსიმა-ლური ქულა**	**მიღებული ქულა**				
1	საკვლევი პრობლემის აღწერა, აქტუალურობა, პრაქტიკული მნიშვნელობა	5	1	2	3	4	5
2	საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის ანალიზი	4	1	2	3	4	
3	კვლევის მეთოდების გამოყენება	5	1	2	3	4	5
4	ჩატარებული კვლევის შედეგების განსჯა	4	1	2	3	4	
5	ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასკვნის გაკეთება	4	1	2	3	4	
6	ნაშრომის გაფორმების ხარისხი და მისი წარდგენის უნარი	3	1	2	3		
-	**ჯამური ქულა**	25	1	2	3	4	5
			6	7	8	9	10
			11	12	13	14	15
			16	17	18	19	20
			21	22	23	24	25

გთხოვთ, შემოხაზოთ ქულა შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

დანართი 3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

_____ ფაკულტეტი

№ საგამოცდო კომისიის

ოქმი №

_____ 20.... წელი

მაგისტრანტი _____

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

სამაგისტრო პროგრამა _____

სამაგისტრო ნაშრომის დასახელება: _____

_____

დაცვას ესწრებიდნენ:

კომისიის თავმჯდომარე _____

(თანამდებობა, ინიციალი, გვარი)

კომისიის მდივანი _____

(თანამდებობა, ინიციალი, გვარი)

კომისიის წევრები: (თანამდებობა, ინიციალი, გვარი)

1._____

2._____

3._____

4._____

5._____

მაგისტრანტის ხელმძღვანელი _____

რეცენზენტი_____

საგამოცდო კომისიაზე წარდგენილი მასალები:

1.——————————————————— ფაკულტეტის დეკანის _____

მიერ დამოწმებული სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი, რომლის თანახმად

მაგისტრანტმა ——————————————————— შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტი, შესაბამის პერიოდში, დადგენილი წესით წარმოადგინე სამაგისტრო ნაშრომი და მისი აკადემიური მოსწრების საშუალო შეწონილი ქულაა ——————————————————— ;

2. სამაგისტრო ნაშრომის განმარტებითი ბარათი ——————————————— გვერდზე;

3. მაგისტრანტის ხელმძღვანელის დასკვნა ——————————————————— გვერდზე;

4. რეცენზია ——————————————————————————————— გვერდზე;

მაგისტრანტს მიეცა შემდეგი შეკითხვები:

1.——————————————————————————————————

2. ——————————————————————————————————

3. ——————————————————————————————————

4. ——————————————————————————————————

საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილება:

მაგისტრანტმა_____

სახელი, გვარი

დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი შეფასებით ——————————————— ქულა (მაქსიმალური 100 ქულიდან), დააგროვა 120 კრედიტი და მისი საშუალო შეწონილი მოსწრება შეადგენს ——— ——————————————————— ქულას.

ამრიგად, მან დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ——————————————

——————————————— ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის

——————————————————————————————————————— სრული კურსი.

_____

სახელი, გვარი, პირადი ნომერი

მიენიჭოს ———

———————————————————————— **მაგისტრის აკადემიური ხარისხი**

————————————————————— და მიეცეს ———————————————————— დიპლომი

მაგისტრის ან მაგისტრის წარჩინების

საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ——————————————————

(ხელმოწერა)

კომისიის წევრები (თანამდებობა, ინიციალი, გვარი და ხელმოწერა):

1.——————————————————————------------------------------------

2.——————---------------—————---————--

3.———————————————————————---

4.————------------—————————--

5.————————————————————————-------------------------------------

ოქმის შემდგენი პირის თანამდებობა, ინიციალი, გვარი და ხელმოწერა